



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

## ბრძანება №06/2 -რ

ქ. თბილისი

19 მაისი 2014 წელი

ი/მ საბროკერო დაზღვევის მაღაზია - ვალერიან გაბელაია-ს სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციის თაობაზე

“დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, „სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N124/01 ბრძანების და სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ი/მ საბროკერო დაზღვევის მაღაზია - ვალერიან გაბელაია (საიდენტიფიკაციო კოდი 01023003704) რეგისტრირებული იქნას სადაზღვევო ბროკერად და მიენიჭოს შემდეგი სარეგისტრაციო ნომერი: 012023.
2. დაევალოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დაზღვევის ნორმატივებისა და სტანდარტიზაციის დეპარტამენტს სადაზღვევო ბროკერთა სარეგისტრაციო რეესტრში შეიტანოს ი/მ საბროკერო დაზღვევის მაღაზია - ვალერიან გაბელაია - ს სარეგისტრაციო მონაცემები.
3. აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



ლამა ნიკოლაძე

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო  
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი